# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №267

6 ივნისი 2014 წელი

ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ მიქიაშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-წერილი №01-2294 06.05.14წ).

მეორეს მხრივ ა.ა.ი.პ. „ქუთაისის კამერული ორკესტრი", მისი გამგეობის თავმჯდომარის რუსუდან ბრეგაძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №8; ტელ: 25-52-59) (შემდგომში „ მიმწოდებელი")

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისში 2014 წლის 10 ივნისს „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრში" ახალგაზრდული კამერული ორკესტრის მონაწილეობით საღამოს ორგანიზება.

1.2. კლასიფიკატორის კოდი –79900000.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3500 (სამიათასხუთასი) ლარს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

## 4. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებლი" ვალდებულია მომსახურება განახორციელოს 2014 წლის 10 ივნისს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2014 წლის 10 ივნისს.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) მიწოდებელი მომსახურების სასაქონლო ზედნადები;

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

## 7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

...ვალდებულებების შესრულების

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავები გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 10 ივლისის ჩათვლით.
15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

## 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| ქალაქ ქუთაისის მერია | ა.ა.ი.პ. „ქუთაისის კამერული ორკესტრი" |
| მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3 | მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №8 |
| ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" | ს.ს. ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" |
| ქუთაისის ფილიალი | ქუთაისის ფილიალი |
| ბ/კოდი: UGEBGE22 | ბ/კოდი: 220101601 |
| ა/ა № 33033303 | ა/ა №GE57VT0500000030093608 |
| ს/კოდი: 212721170 | ს/კოდი: 212700399 |
| ქალაქ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი | ა.ა.ი.პ. „ქუთაისის კამერული ორკესტრი" გამგეობის თავმჯდომარე |
| ნოდარ მიქიაშვილი | რუსუდან ზრეგაძე |

ფასების ცხრილი

| № | დასახელება | რაოდენობა | ღირებულება ( ლარებში) |
|---|---|---|---|
| 1 | დირექტორის ჰონორარი | 1 | 250 |
| 2 | მთ. დირიჟორის ჰონორარი | 1 | 500 |
| 3 | ახალგაზრდული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, პროგრამების მენეჯერის ჰონორარი | 1 | 250 |
| 4 | მსახიობების ჰონორარი | 12 | 1200 |
| 5 | მოწვეული მსახიობების ჰონორარი | 4 | 650 |
| 6 | საკონცერტო დარბაზის იჯარა | | 500 |
| 7 | ბეჭდვითი მომსახურება | | 150 |
| 8 | ჯამი | | 3500 |

ა.ა.ი.პ. „ქუთაისის კამერული ორკესტრი“

გამგეობის თავმჯდომარე: რუსუდან ბრეგაძე

# საქართველო
# ქალაქ ქუთაისის მერი
# GEORGIA
# Mayor of Kutaisi


№ 01-2234

6 05 2014 წ.

თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ლევან კირკიტაძეს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ 1997 წლიდან დაფუძნებულია და დღემდე ფუნქციონირებს მუსიკალური კავშირი „ქუთაისის კამერული ორკესტრი", რომლის შემადგენლობა შეივსო ახალგაზრდებით. კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქუთაისელ მსმენელს მ/წლის 10 ივნისს წარუდგინოს ახალგაზრდული კამერული ორკესტრი, რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა მუსიკალურ კავშირში გაერთიანებულ ფესტივალებსა და კონკურსებში გამარჯვებული ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები, დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სამუსიკო კოლეჯის პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი ქალბატონი მანანა კუხიანიძე. ეს ორკესტრი იქნება შემდგომი შევსება საოპერო თეატრის ორკესტრისათვის. ორკესტრის საჩვენებელი კონცერტის ჩატარებისათვის საჭიროა თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი, რომელიც მიზანშეწონილია გამოიყოს 2014 წლის კულტურის ღონისძიებების კულტურული ინიციატივების მუხლიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ „ქუთაისის კამერული ორკესტრი" ფუნქციონირებს 1997 წლიდან და ის ერთადერთია ქალაქში, გთხოვთ, დაგვრთოთ ნება, რომ ღონისძიების ჩატარებისათვის, გავაფორმოთ ხელშეკრულება მუსიკალურ კავშირთან „ქუთაისის კამერული ორკესტრი" (დირექტორი რუსუდან ბრეგაძე) თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით.

საბანკო რეკვიზიტები:

ვითიბი ბანკი „ჯორჯია"

ქუთაისის ფილიალი

მფო 220101605

ს/კ 212700399

ანგარიშის ნომერი #17993608

მუსიკალური კავშირი „ქუთაისის კამერული ორკესტრი"

დირექტორი რუსუდან ბრეგაძე

მისამართი: ქ.ქუთაისი, ზარდალიშვილის ქ.#7; ტელ: 255259

პატივისცემით

ნოდარ მიქიაშვილი

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე

მერის მოვალეობის შემსრულებელი


United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos locales Unidos

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

მუსიკალურ კავშირთან არსებული „ახალგაზრდული კამერული ორკესტრის“

საკონცერტო პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

1. დირექტორის ჰონორარი – 250 ლარი
2. მთ.დირიჟორის ჰონორარი – 500 ლარი
3. ახალგაზრდული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელის,პროგრამების მენეჯერის ჰონორარი – 250 ლარი

4. მსახიობების ჰონორარი: ძირითადი: 12 პირი X 100= 1200 ლარი

   მოწვეულები: 4 პირი X 50=650 ლარი

5. სარეპეტიციო დარბაზის მომსახურება: - 650 ლარი

სულ: - 3500 ლარი

ვაჟა ჯულელი

სამსახურის უფროსის მ/შ